

## ზოგიერთი ინფორმაცია მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებთან დაკავშირებით

მაკროეკონომიკური პროგნოზი განხორციელდა 2018-2021 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფორმირებისა და 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის. 2017-2020 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების ფარგლებში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საშუალოვადიანი პროგნოზი განახლდა და საპროგნოზო პერიოდი გაიზარდა ერთი წლით. ამასთან, შეიცვალა საბაზო მონაცემები. კერძოდ, 2016 წელი, ნაცვლად მოსალოდნელი მაჩვენებლებისა, წარმოდგენილია ფაქტიური (წინასწარი) შედეგებით, ხოლო 2015 წლის წინასწარი შედეგები შეცვლილია დაზუსტებული მონაცემებით. 2016 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები განსხვავდება ფაქტიურისგან, რამაც გავლენა იქონია მთელ საპროგნოზო პერიოდზე. 2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მოსალოდნელი მაჩვენებელი, რომელმაც 2.7 პროცენტი შეადგინა, დაემთხვა ზრდის ფაქტიურ მაჩვენებელს, ხოლო ფაქტიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პერიოდის საშუალო ცვლილება) მხოლოდ 0.1 პროცენტით განსხვავდება პროგნოზირებულისგან. თუმცა მშპ-ს დეფლატორის ფაქტიურმა ცვლილებამ 2016 წელს 2.0 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზირებულს, რამაც გავლენა იქონია მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალურ მაჩვენებელზე და ფაქტიური ნომინალური მშპ 656.4 მლნ ლარით (2.0 პროცენტით) მეტი იყო პროგნოზირებულთან შედარებით.

მიმდინარე პროგნოზის მიხედვით, მომდევნო წლების მშპ-ს ზრდისა და ფასების დონის ცვლილების ტემპების პროგნოზები უცვლელია. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2016 წლის ფაქტიურმა მაჩვენებლებმა გავლენა იქონია საპროგნოზო პერიოდის ნომინალურ მშპ-ზე და იგი დაკორექტირდა ზრდის მიმართულებით.

დანახარჯების მიხედვით 2016 წლის მშპ-ს მოსალოდნელი სტრუქტურაც განსხვავდება პროგნოზირებულისგან, რაც ძირითადად სავალუტო კურსის რყევებით, არაპროგნოზირებადი ფაქტორების გავლენით და საგარეო სექტორის ფაქტიური შედეგების საპროგნოზო მაჩვენებლებისგან გადახრით არის გამოწვეული. აღნიშნულმა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა კერძო სექტორის განკარგვად შემოსავლებზე, მათ მიერ გაწეულ სამომხმარებლო ხარჯებსა და ინვესტიციებზე. ამ ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა მშპ-ს სტრუქტურის საშუალოვადიან პროგნოზებზეც.

საგარეო სექტორის 2016 წლის ფაქტიურ შედეგებზე, როგორც ზემოთ აღინიშნა გავლენა ჰქონდა სხვადასხვა არაპროგნოზირებად მოვლენებს და რისკ ფაქტორების რეალიზაციას. 2016 წლის საქონლის ექსპორტი და იმპორტი 11 პროცენტით და 13 პროცენტით ჩამორჩა პროგნოზირებულ მაჩვენებლებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქონლის იმპორტი ორჯერ და მეტად აჭარბებს ექსპორტს, ადგილი ჰქონდა საქონლით ვაჭრობის ბალანსის მოსალოდნელ მეტად გაუმჯობესებას (მშპ-ს 4.5 პროცენტი). მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ფაქტიური მაჩვენებელი 2016 წელს ახლოს იყო პროგნოზირებულთან. მნიშვნელოვანი გადახრა გვექონდა უცხოურ ინვესტიციებზე

მიღებული შემოსავლების საზღვარგარეთ გადინებაში, რამაც 40 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზირებულ მაჩვენებელს. პროგნოზირებულ მაჩვენებელთან დაახლოებით 30 პროცენტის ჩამორჩენა დაფიქსირდა უცხოეთიდან მიღებული ტრანსფერების შემთხვევაში. შედეგად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა, მიუხედავად საქონლით ვაჭრობის ბალანსის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, მშპ-ს 0.8 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზირებულ მნიშვნელობას და 13.3 პროცენტი შეადგინა. 2016 წლის ფაქტიურმა შედეგებმა გავლენა იქონია ახალ საშუალოვადიან საპროგნოზო მაჩვენებლებზე და გამოიწვია მათი კორექტირების აუცილებლობა.

2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ფაქტიური შესრულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა პროგნოზირებულისგან. ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) შესაბამისობაშია პროგნოზთან. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 479 მლნ ლარი (მშპ-ს 1.4 პროცენტი). რაც შეეხება ტრადიციულ დეფიციტს, აქ ფაქტიურმა შესრულებამ 1 301 მლნ ლარი შეადგინა (მშპ-ს 4,1 პროცენტი).

ნაერთი ბიუჯეტის 2016 წლის ფაქტიურ შესრულებას უმნიშვნელო გავლენა აქვს 2017 წლის და შემდგომ 2018-2021 წლების საპროგნოზო მაჩვენებლებზე. 2017 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო მთავრობის მიერ გამოცხადებული 4-პუნტიანი გეგმის შესაბამისად. ნაერთი ბიუჯეტის პროგნოზებში ასახულია ყველა გადაწყვეტილება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლებზე. 2018-2021 წლის ფისკალურ მაჩვენებლებში ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია მაკროეკონომიკური პროგნოზების, კერძოდ კი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის დაზუსტებით. ამასთან, ფისკალურ ინდიკატორებზე საშუალოვადიან პერიოდში, გავლენა მოახდინა საპენსიო რეფორმის მოსალოდნელმა ეფექტმა, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ 2021 წელს ევროზონის დაფარვის მიზნით გასატარებელია შესაბამისი ღონისძიებები, რაც გავლენას ახდენს ვალის აღებისა და დაფარვის პარამეტრებზე. ადგილი ექნება საგარეო ვალდებულებების ზრდას. თუმცა ეს გავლენას არ იქონიებს წმინდა პოზიციაზე. გარდა აღნიშნული გარემოებებისა, ფისკალურ ინდიკატორების მნიშვნელოვანი კორექტირება არ განხორციელებულა, რადგან თავდაპირველი პროგნოზით ისედაც იყო გათვალისწინებული ძირითადი ფისკალური მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. კერძოდ, ფისკალური კონსოლიდაცია და ბიუჯეტის დეფიციტის (როგორც მთლიანი სალდოს, ისე ტრადიციული დეფიციტის) შემცირება; მიმდინარე ხარჯების შემცირება; კაპიტალური ხარჯების ზრდა; საგადასახადო კანონმდებლობისა თუ სხვა კანონების დაგეგმილი ცვლილებები.

**ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (პროგნოზების შედარება)**

	2015 ფაქტ.	2017-2020*	2018-2021*	2017-2020	2018-2021	2017-2020	2018-2021	2017-2020	2018-2021	2017-2020	2018-2021
		2016 მოსალ	2016 წინასწ. ფაქტი	2017 პროგნ.	2017 მოსალ	2018 პროგნ.	2018 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	
<b>(პროგნტული ცვლილება წინა წელთან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)</b>											
ეროვნული შემოსავალი და ფასები											
ნომინალური მშპ	8.9%	4.8%	6.8%	8.2%	8.2%	8.7%	8.7%	9.2%	9.2%	9.2%	
რეალური მშპ	2.9%	2.7%	2.7%	4.0%	4.0%	5.5%	5.5%	6.0%	6.0%	6.0%	
ნომინალური მშპ											
მლნ ლარი	31755.6	33265.2	33921.6	35979.7	36689.6	39097.3	39868.8	43528.7	47524.7	51887.5	
მლნ აშშ დოლარი	13993.2	14095.4	14332.7	14391.9	14675.9	15638.9	15947.5	17411.5	19009.9	20755.0	
მშპ ერთ სულ მოსახლეზე											
ლარი	8497.5	8901.5	9117.7	9627.9	9861.7	10462.1	10716.3	11700.0	12774.1	13946.7	
აშშ დოლარი	3743.1	3771.8	3852.5	3851.1	3944.7	4184.9	4286.5	4680.0	5109.6	5578.7	
ინვესტიციები, მლნ ლარი	11957.2	11842.1	12728.8	13575.7	13832.2	15396.0	15937.3	18038.4	20241.9	22617.2	
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, საშუალო პერიოდის	4.0%	2.0%	2.1%	4.0%	4.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლოს	4.9%	2.0%	1.8%	4.0%	4.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	
მშპ-ს დეფლატორი	5.9%	2.0%	4.0%	4.0%	4.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	
ნაერთი ბიუჯეტი											
გადასახადები და სოციალური შენატანები	10.6%	9.1%	9.7%	9.2%	8.6%	6.2%	6.2%	9.4%	9.2%	8.9%	
გადასახადები	10.6%	9.1%	9.7%	9.2%	8.6%	6.2%	6.2%	9.4%	9.2%	8.9%	
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ზრდა	9.6%	3.2%	8.9%	7.9%	2.2%	8.0%	10.9%	8.2%	7.1%	7.2%	
ხარჯები	7.0%	11.8%	11.5%	3.1%	3.4%	2.8%	3.6%	4.2%	4.1%	4.9%	
საგარეო სექტორი											
ექსპორტი	-11.8%	3.7%	0.2%	10.9%	7.1%	14.0%	10.9%	11.8%	11.8%	11.8%	
საქონელი	-23.4%	2.8%	-6.5%	9.8%	6.9%	14.0%	11.6%	12.0%	12.0%	12.0%	
მომსახურება	3.8%	4.5%	6.9%	12.0%	7.2%	14.0%	10.3%	11.6%	11.6%	11.6%	
იმპორტი	-9.7%	2.1%	-3.2%	7.1%	2.3%	8.6%	9.4%	10.0%	10.0%	10.0%	
საქონელი	-11.1%	2.1%	-4.9%	6.7%	1.8%	9.5%	9.5%	10.3%	10.3%	10.3%	
მომსახურება	-2.5%	2.1%	3.6%	9.0%	4.4%	5.0%	8.8%	9.2%	9.2%	9.2%	
ფული და კრედიტი (პერიოდის ბოლოს)											
სარეზერვო ფული	9.9%	7.9%	28.0%	12.3%	11.6%	14.8%	15.3%	16.8%	16.9%	17.0%	
ფართო ფული M3	19.3%	16.8%	20.2%	12.9%	11.9%	15.8%	15.8%	17.2%	17.2%	17.2%	
ფართო ფული M2	-2.5%	12.0%	12.9%	14.7%	14.7%	17.5%	17.4%	18.7%	18.7%	18.7%	
ფულის მიმოქცევის სიჩქარე											
M3	2.4	2.1	2.1	2.0	2.0	1.9	1.9	1.8	1.7	1.6	
M2	5.5	5.2	5.2	4.9	4.9	4.5	4.5	4.2	3.8	3.5	
ფულის მულტიპლიკატორი											
M3	2.70	2.92	2.53	2.93	2.54	2.96	2.55	2.56	2.57	2.57	
M2	1.16	1.21	1.03	1.23	1.06	1.26	1.08	1.09	1.11	1.13	
მთლიანი საერთაშორისო რეზერვები											
ერთი თვის საშუალო იმპორტის კუთხით	3.3	3.3	3.9	3.3	4.1	3.3	4.2	4.2	4.2	4.2	
მლნ აშშ დოლარი	2520.7	2520.7	2756.4	2722.4	2977.0	2967.4	3274.6	3602.1	3962.3	4358.6	
საპროცენტო განაკვეთები (ეროვნულ ვალუტაში), პროცენტი											
სესხებზე	19.3%	17.5%	19.6%	15.5%	17.5%	13.5%	15.5%	13.5%	11.5%	9.5%	
დეპოზიტებზე	9.0%	8.0%	9.4%	7.0%	8.4%	6.0%	7.4%	6.4%	5.4%	4.4%	
<b>(პროგნტულად მშპ-სთან თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)</b>											
რეალური სექტორი											
ინვესტიციები	37.7%	35.6%	37.5%	37.7%	37.7%	39.4%	40.0%	41.4%	42.6%	43.6%	
ნაერთი ბიუჯეტი											
შემოსავლები	28.2%	29.0%	28.5%	29.3%	28.7%	28.5%	28.0%	27.9%	27.7%	27.4%	
გადასახადები და სოციალური შენატანები	25.2%	26.3%	25.9%	26.5%	26.0%	25.9%	25.4%	25.5%	25.5%	25.4%	
გადასახადები	25.2%	26.3%	25.9%	26.5%	26.0%	25.9%	25.4%	25.5%	25.5%	25.4%	
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების შემენა	30.4%	30.0%	31.0%	29.9%	29.3%	29.7%	29.9%	29.6%	29.1%	28.5%	
ხარჯები	24.8%	26.5%	25.9%	25.3%	24.8%	23.9%	23.6%	22.5%	21.5%	20.7%	
არა ფინანსური აქტივების შემენა	5.6%	3.5%	5.1%	4.6%	4.5%	5.8%	6.3%	7.1%	7.6%	7.9%	
საოპერაციო სალდო	3.4%	2.5%	2.6%	4.0%	3.9%	4.6%	4.4%	5.3%	6.2%	6.8%	
მთლიანი სალდო	-1.1%	-0.1%	-1.4%	-0.2%	-0.2%	-0.8%	-1.5%	-1.4%	-1.1%	-0.8%	
საგარეო სექტორი											
საქონელი გაპრობის ბალანსი	-30.7%	-31.0%	-26.5%	-31.7%	-25.3%	-30.9%	-25.1%	-25.0%	-24.9%	-24.8%	
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი											
ტრანსფერების გარეშე	-23.2%	-22.3%	-21.1%	-21.8%	-19.0%	-18.9%	-17.6%	-16.0%	-14.4%	-12.9%	
ტრანსფერების ჩათვლით	-11.7%	-12.6%	-13.3%	-12.7%	-11.5%	-10.3%	-10.1%	-8.7%	-7.3%	-5.9%	
სახელმწიფო ვალუბი											
მთავრობის ვალი პროცენტულად მშპ-სთან	41.4%	43.9%	44.6%	44.2%	42.9%	44.4%	43.0%	42.6%	42.2%	41.1%	
საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-სთან	32.5%	34.3%	35.2%	34.3%	33.3%	34.1%	33.3%	32.8%	32.5%	31.6%	
საგარეო ვალი პროცენტულად ექსპორტთან	69.0%	70.3%	72.3%	68.6%	73.1%	65.1%	71.5%	68.8%	66.7%	63.3%	
საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ექსპორტთან	3.8%	3.5%	3.6%	4.0%	4.3%	4.5%	4.7%	5.1%	4.2%	9.2%	
საგარეო ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან	115.3%	118.2%	123.5%	117.1%	116.1%	119.7%	118.6%	117.5%	117.5%	115.1%	
სამხილო ვალი პროცენტულად მშპ-სთან	8.9%	9.7%	9.3%	9.9%	9.6%	10.3%	9.7%	9.8%	9.7%	9.5%	
მთავრობის ვალი პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან	146.8%	151.5%	156.3%	151.0%	149.5%	155.8%	153.3%	152.9%	152.4%	149.9%	
საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან	6.1%	5.5%	5.5%	6.8%	6.8%	8.3%	7.8%	8.7%	7.4%	16.7%	

შენიშვნა: განაგრძობენ გაკეთებულა მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენებით და მონაცემების თავისებობის უზრუნველყოფის მიზნით, გასული პერიოდის ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი კორექტირებულია

2017-2020\* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2017-2020 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი)

2018-2021\* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2018-2021 წლებისათვის (პრევილი ვარიანტი)



	2015 ფაქტ.	2017-2020*	2018-2021*	2017-2020	2018-2021	2017-2020	2018-2021	2018-2021	2018-2021	2018-2021
		2016 მოსალ	2016 წინასწ. ფაქტი	2017 პროგნ.	2017 მოსალ	2018 პროგნ.	2018 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.
შემოსავლები	28.2%	29.0%	28.5%	29.3%	28.7%	28.5%	28.0%	27.9%	27.7%	27.4%
გადასახადები	25.2%	26.3%	25.9%	26.5%	26.0%	25.9%	25.4%	25.5%	25.5%	25.4%
არაპირდაპირი გადასახადები	14.0%	13.5%	13.0%	15.2%	14.9%	14.9%	15.0%	14.9%	14.8%	14.6%
პირდაპირი გადასახადები	11.2%	12.8%	12.9%	11.3%	11.1%	11.0%	10.4%	10.5%	10.7%	10.8%
სოციალური შენატანები	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
გრანტები	1.0%	1.0%	0.9%	0.8%	0.8%	0.9%	0.9%	0.8%	0.7%	0.7%
სხვა შემოსავლები	2.0%	1.8%	1.7%	2.0%	1.9%	1.7%	1.7%	1.6%	1.5%	1.3%
ხარჯები	24.8%	26.5%	25.9%	25.3%	24.8%	23.9%	23.6%	22.5%	21.5%	20.7%
შრომის ანაზღაურება	5.0%	5.3%	5.2%	4.7%	4.6%	4.4%	4.4%	4.1%	3.9%	3.7%
საქონელი და მომსახურება	3.8%	4.3%	4.1%	3.9%	3.9%	3.7%	3.7%	3.4%	3.2%	3.0%
პროცენტი	1.0%	1.2%	1.2%	1.4%	1.4%	1.5%	1.4%	1.4%	1.5%	1.5%
საგარეო	0.5%	0.6%	0.6%	0.7%	0.7%	0.7%	0.6%	0.6%	0.6%	0.6%
საშინაო	0.5%	0.6%	0.6%	0.7%	0.7%	0.8%	0.8%	0.8%	0.9%	0.8%
სუბსიდიები	2.3%	2.1%	2.2%	2.2%	2.1%	1.9%	1.9%	1.8%	1.8%	1.7%
გრანტები	0.1%	0.2%	0.1%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%	0.1%	0.2%
სოციალური უზრუნველყოფა	9.6%	10.2%	10.0%	9.7%	9.5%	9.3%	9.0%	9.0%	8.5%	8.2%
სხვა ხარჯები	3.0%	3.2%	3.1%	3.1%	3.0%	2.9%	2.9%	2.7%	2.6%	2.5%
საოპერაციო სალდო	3.4%	2.5%	2.6%	4.0%	3.9%	4.6%	4.4%	5.3%	6.2%	6.8%
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	4.5%	2.5%	4.0%	4.2%	4.1%	5.4%	5.9%	6.8%	7.3%	7.6%
ზრდა	5.6%	3.5%	5.1%	4.6%	4.5%	5.8%	6.3%	7.1%	7.6%	7.9%
შემცირება	-1.1%	-0.9%	-1.1%	-0.4%	-0.4%	-0.4%	-0.4%	-0.3%	-0.3%	-0.3%
მთლიანი სალდო	-1.1%	-0.1%	-1.4%	-0.2%	-0.2%	-0.8%	-1.5%	-1.4%	-1.1%	-0.8%
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	1.4%	3.5%	1.4%	3.4%	3.3%	2.5%	1.8%	1.6%	1.7%	1.6%
ზრდა	1.6%	3.7%	1.6%	3.6%	3.5%	2.7%	2.0%	1.8%	1.8%	1.7%
შემცირება	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.1%
ვალდებულებების წმინდა ზრდა	2.9%	3.2%	3.1%	3.5%	3.4%	3.7%	3.4%	3.1%	3.1%	2.4%
საშინაო	0.8%	1.1%	0.9%	0.9%	0.9%	1.1%	0.8%	0.9%	0.6%	0.6%
ფულად საკრედიტო ორგანოები	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%
სხვა ვალდებულებები	1.0%	1.2%	1.1%	1.1%	1.1%	1.3%	1.0%	1.0%	0.7%	0.8%
სხვა კრედიტორული დავალიანება	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%	-0.1%
საგარეო	2.1%	2.2%	2.2%	2.6%	2.6%	2.6%	2.6%	2.3%	2.5%	1.8%
აღება	3.3%	3.2%	3.2%	3.9%	3.8%	4.2%	4.2%	4.1%	4.0%	5.8%
დაფარვა	-1.2%	-1.0%	-1.0%	-1.3%	-1.2%	-1.7%	-1.6%	-1.8%	-1.5%	-4.0%
დეპოზიტებზე ნაშთის ცვლილება (+ ზრდა)	0.5%	-0.3%	0.3%	-0.1%	-0.1%	0.3%	0.1%	0.1%	0.3%	0.0%
ეროვნული ბანკი	0.8%	-0.3%	0.4%	-0.1%	-0.1%	0.3%	0.1%	0.1%	0.3%	0.0%
კომერციული ბანკები	-0.4%	0.0%	-0.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ბალანსი	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%

2017-2020\* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2017-2020 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი)

2018-2021\* - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2018-2021 წლებისათვის (პირველადი ვარიანტი)